

საქართველოს კანონი

**„საავტომობილო გზების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის შესახებ**

**მუხლი 1**

„საავტომობილო გზების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის შესახებ (საქართველოს პარლამენტის უწყებები, 1994, №21-22, მუხ. 463) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები:

1. მე-3 მუხლის მე-6 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„6. საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების ნუსხას საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს წარდგინებით ამტკიცებს საქართველოს პრეზიდენტი. როგორც წესი, იგი გადაისინჯება 5 წელიწადში ერთხელ.“.

2. მე-9 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების ქსელის განვითარების, დაპროექტებისა და სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის საკითხებში ერთიან სახელმწიფო პოლიტიკას ატარებს საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო.“.

3. 26-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 26. საავტომობილო გზების განვითარებასთან და გაუმჯობესებასთან დაკავშირებულ სამუშაოთა წარმოება

საავტომობილო გზების შეკეთება, მოვლა-შენახვა, საექსპლუატაციოდ მიღება, საჭირო სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების ჩატარება წარმოებს საქართველოს კანონმდებლობის, მათ შორის, მიღებული სტანდარტების, სამშენებლო ნორმების, ტექნიკური რეგლამენტების, ინსტრუქციებისა და დასრულებული საგზაო სამუშაოების მიღების წესის შესაბამისად, რომლებსაც კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების სახით, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ამტკიცებს საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრი.“.

**მუხლი 2**

ეს კანონი ამოქმედდეს 2009 წლის პირველი იანვრიდან.

საქართველოს პრეზიდენტი

მიხეილ სააკაშვილი